სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/141

ქ. თბილისი

12 ივნისი 2019

სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/12ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს კონკურსი სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ საგანთა ჯგუფებზე:
   №1 საგანთა ჯგუფი – პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე (250 სთ);
   №1 საგანთა ჯგუფი – ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (250 სთ);
   №3 საგანთა ჯგუფი – ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (250 სთ);
   №4 საგანთა ჯგუფი – ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (500 სთ);
   №7 საგანთა ჯგუფი – პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (500 სთ);
   №8 საგანთა ჯგუფი – პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (400 სთ);
   №8 საგანთა ჯგუფი – ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (250 სთ);
   №9 საგანთა ჯგუფი – პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე (400 სთ);
   №10 საგანთა ჯგუფი – ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე (500 სთ);
   №10 საგანთა ჯგუფი – ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (400 სთ).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**
აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**